ხელშეკრულება
მომსახურების გაწევის შესახებ №10.33/10/206

ქ. თბილისი **29 დეკემბერი 2020 წელი**

ერთის მხრივ, შპს მედია-ჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმზი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის კახა მასხარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შეახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია: საინფორმაციო მხარდაჭერის პაკეტის (შემსყიდველის საინტერესო თემებისა და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე www.geotimes.com.ge და რადიო „ჯორჯიან თაიმსის“ ვებ-გვერდზე www.gtradio.ge. თვის განმავლობაში 10 ინფორმაციისა და 1 ინტერვიუს განთავსება; ინფორმაცია გაზიარდება facebook გვერდებზე, რათა მოხდეს დიდი აუდიტორიის მოცვა) შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

2.2. CPV კოდი 92112000.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორების პირობა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ღირებულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით განისაზღვრება 4248 (ოთხი ათას ორას ორმოცდარვა) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით, თვეში 354 ლარი დღგ-ს ჩათვლით;

3.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების ფაქტობრივად გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

3. მომსახურების ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

5.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დღგ-ჩათვლით;

5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის სარეკლამო მასალის ან/და შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული ინფორმაციის მიმწოდებლის ვებ-გვერდი www.geotimes.com.ge განთავსებით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურება გაწეულად, ხოლო შემსყიდველის მიერ მიღებულად ითვლება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ;

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს შესაბამის საბუღალტრო დოკუმენტაციას;

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი გაწეული მომსახურეობის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს ან წარმოდგენილი არაა თანმხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
6.4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაზე

პასუხისმგებელია საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თამარ ნავროზაშვილი
6.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თამარ ნავროზაშვილი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
7.1.1 შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
7.1.3. არ განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულების პირობებს ან/და ვერ უზრუნველყოფს მომსახურების სათანადოდ გაწევას;
7.1.4..მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს მიმწოდებლისაგან მომსახურების გაწევის შესახებ სრული ინფორმაცია.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1.გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
7.2.2 შემსრულებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებისას მიუთითოს ინფორმაციის წყარო, ხოლო ინტერნეტში განთავსებისას უზრუნველყოს შესაბამისი ბმულის განთავსება.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.3.1 .მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.3.2 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1 მომსახურების გაწევის პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები, ასევე მის მიერ განხორციელებული ქმედებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.
7.4.2 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ ნაკისრი მომსახურების ხარისხსა და სრულყოფილებაზე.
7.4.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.4.4 დაუყოვნებლივ შეატყობინოს შემსყიდველს მომსახურების გაწევის პროცესში წარმოშობილი დაბრკოლების ან რაიმე ხარვეზის შესახებ და უზრუნველყოს ხარვეზის დაუყოვნებლივი გამოსწორება. თუ დამკვეთისთვის ინტერესს მოკლებულია მომსახურების გაწევა ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, შემსყიდველი არ არის ვალდებული აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება, გარდა მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებისა.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9.2. ხელშეკრულება შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ასევ კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. სხვა პირობები.

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავისი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3. ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.4. სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, თუ მხარეები პირდაპირი მოლაპარაკებების გზით ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 208 204 959

გამგებელი

---------- კ. ლაბუჩიძე

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2020.12.29 18:18:10 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „მედია-ჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმზი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 446 867
ქ. თბილისი, ლერმონტოვის 10
ფაქტ. ქიქოძის 12

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
ა.ა: GE62 BG00 0000 0125 9475 01

დირექტორი

———————————— კ. მასხარაშვილი

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2020 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა საინფორმაციო მხარდაჭერის პაკეტის შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საინფორმაციო მხარდაჭერის პაკეტის შესყიდვაზე, 2020 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული №10.33/10/206 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2020.12.29 18:19:05 +04'00'

თამარ ნავროზაშვილი